„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2022 * (3)80

დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღნიშნეს

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის გართობისა და დასვენების პარკში საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.

საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ასპინძის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა მამა ზაქარიამ გადაიხადა. ზუსტად 104 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი ასპინძის კულტურის ცენტრის წინ, ღია ცის ქვეშ გაიმართა.



აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა: ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა, ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ", მუნიციპალიტეტში მოქმედმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,სამცხემ'', ვ. მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა, ასპინძისა და სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ღონისძიებას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

გილოცავ სკოლის დამთავრებას!

მინდა ყველა მე-12 კლასელს მივულოცო სკოლის დამთავრება!

განსაკუთრებით ვულოცავთ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდებს.

თქვენ იწყებს სრულიად ახალ ცხოვრებას, გადადიხართ განსხვავებულ ეტაპზე, წინ გელით ახალი ურთიერთობები, მეგობრები, სხვა პასუხისმგებლობა.

გისურვებთ წარმატებებს ახალი გამოცდილებებით, ურთიერთობებით, ცოდნისა და განვითარების ახალი პერსპექტივებითა და, ამავდროულად, პასუხისმგებლობას საკუთარი მომავლისა და ქვეყნის წინაშე.

გისურვებთ, მოგეცეთ საშუალება, მაქსიმალურად გამოავლინოთ თქვენი შესაძლებლობები. მჯერა, თითოეული თქვენთაგანი იპოვის საკუთარ თავს და ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს საზოგადოებაში.

მთელი გულით გისურვებთ წარმატებებს ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე!

როსტომ მაგრაქველიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

ინტერვიუ

როსტომ მაგრაქველიძე

მერია ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას

დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე.

– ბატონო როსტომ,

დღევანდელი ინტერვიუს ჩაწერა საერთაშორისო დონეზე უაღრესად გართულებულ პერიოდში გვიწევს. არა და არ წყდება უკრაინელი ხალხის სისხლისღვრა, რაც მნიშვნელოვანწილად, არამარტო ევროპულ ქვეყნებზე, არამედ, განსაკუთრებით, საქართველოზეც აისახება, რამეთუ დროებით ტერიტორიებდაკარგული ქვეყნისთვის ამ ომს ჩვენ მომავალ ცხოვრებაზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია. რისი თქმა შეგიძლიათ რუსეთ-უკრაინის ომსა და ამ დაპირისპირებულ მხარეებთან ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებაზე?

– მივესალმები გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ თითოეულ მკითხველს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, პასუხს ასე გავცემ: ალბათ, დღეს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე აქტუალურ საკითხზე მოგვიწევს საუბარი. ის, თუ რა ხდება უკრაინაში, ეს ყველაზე დასადგომი, შემაძრწუნებელი და სულის შემძვრელი მოქმედებებია, რაც შეუძლია ერთ ქვეყანამ ჩაიდინოს მეორე ქვეყნის მიმართ. ჩვენს მოძმე უკრაინაში ხომ ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეწყდა და, სამწუხაროდ, ომი ისევ გრძელდება. იქ იღუპებიან მცირეწლოვანი ბავშვები, ქალები, მოხუცები და გმირი მებრძოლები, რომლებიც თავისი ქვეყნის თავისუფლებას და მომავალს ეწირებიან. სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ძალიან მიჭირს საუბარი და სწორი ანალიზის გაკეთებაც.

უკრაინაში საომარი მოქმედებები ნეგატიურად აისახება არა მარტო ამ ქვეყნის მეზობელ და მეგობარ ქვეყნებზე, რომელთა მრავალრიცხოვან მხარდამჭერთა შორის ჩვენი ქვეყანაც შედის, არამედ მთელი მსოფლიოს უამრავ სახელმწიფოზე და ამიტომაც ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს ეს ყველაფერი.

– ქართველი ერი, ცხადია, ცალსახად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პირდაპირ დადგა მეგობარი ქვეყნის – უკრაინის მხარეზე, რაც მრავალმხრივ თანადგომაში გამოიხატა, მათ შორის როგორც ჰუმანიტარული დახმარებით, ასევე საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერითაც. ასპინძის მუნიციპალიტეტმა როგორ გამოხატა თავისი მხარდაჭერა მებრძოლი გმირი უკრაინელი ხალხის მიმართ და დამატებით რის გაკეთებას ფიქრობთ ახლო მომავალში?

– უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების პირველივე წუთიდან ჩვენი ქვეყანა აქტიურად ჩაერთო მეზობელი უკრაინელი ხალხის როგორც პოლიტიკური, ისე ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებისა და გადაწყვეტის საკითხებში.

საქართველო ის ქვეყანაა რომელმაც მსოფლიოს მასშტაბით ბევრ რეზოლუციის მიღებაში მიიღო მონაწილეობა, მხარდაჭერაც გამოხატა და დაადასტურა უკრაინის სახელმწიფოს სასარგებლოდ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველო პირველ ადგილზეა იმ ქვეყანებს შორის, რომელმაც ყველაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა და გააგზავნა უკრაინაში, რაშიც თავისი მოკრძალებული წვლილი ასპინძის მუნიციპალიტეტმაც შეიტანა. კერძოდ, მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო შესაბამისი თანხა, რომლითაც შეძენილი იქნა როგორც მედიკამენტები, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთები, სურსათი, თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჰიგიენური საშუალებები, არამალფუჭებადი პროდუქტები, სხვადასხვა დასახელების სამედიცინო ინვენტარი და სტერილური სახვევები. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო როგორც კერძო, ასევე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მოსახლეობამ და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა მერიაში მოიტანეს უკრაინაში გასაგზავნი ტვირთიც, ასევე სპეციალურ ანგარიშზე „საქართველო – უკრაინელი ხალხისთვის“, შეტანილი იქნა მოსახლეობის მიერ შეგროვებული საკმაოდ სოლიდური თანხა. ტვირთის მოცულობა იმდენად მასშტაბური იყო, რომ გაგზავნა ორ ეტაპად მოხდა.

– დღეს წარმოების ნებისმიერი სფერო, ბიზნესი, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ამ ომით გამოწვეულ უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც სხვებთან ერთად თითოეულმა ჩვენთაგანმაც საკუთარ თავზე იწვნია. რას იტყოდით ამის შესახებ?

– ომი რომ კარგი არაა და მას კატასტროფული შედეგები მოყვება, ეს თავშივე აღვნიშნე. არც ისაა გამონაკლისი, რომ ცუდად აისახება იგი ყველას მიმართ როგორც ეკონომიკურ, ასევე ბიზნესსა თუ ნებისმიერ სფეროზე, რაც ლოგიკურია, რომ ყოველივე ეს თითოეულ ადამიანს გვეხება. ამიტომ მთელი მსოფლიოს ქვეყნები უნდა გაერთიანდეს და ვისაც როგორ შეუძლია, წინ აღუდგეს საომარ მოქმედებებს და ყველა ღონე იხმარონ ომის დასრულებისათვის.

– გაზაფხული იწურება და, ჯერჯერობით, მუნიციპალიტეტში, თითქოს, უფრო აქტიურად არ იგრძნობა ფართო მასშტაბით გაშლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით წარმოებული სამუშაოები. იქნებ ჩვენს მკითხველს უფრო დაწვრილებით მოუთხრათ, მიმდინარე წლისთვის ამ მხრივ რის გაკეთებას აპირებთ, წინა წელთან შედარებით საკმარისია გამოყოფილი სახსრები თუ არა?

– რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორცი-

დასასრული მე–2 გვ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

– ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

– სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

– ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №70/12 განკარგულების „ასპინძის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ,“ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ერთხმად დაამტკიცეს.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2022 წელში N 25-დან N 45-ის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულებებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე. ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე.

მერია ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას

პირველი გვერდიდან

ელებას, მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ვადების სრული დაცვით იქნა გამოცხადებული შესაბამისი ტენდერები, ასევე დროულად მოხდა დაკონტრაქტება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან. კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით სამუშაოები დაწყებულია და საკმაოდ კარგი ტემპით მიმდინარეობს, რაშიც აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბატონი ბესიკ ამირანაშვილი და ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი ანტონ ობოლაშვილი

ასევე აქტიურ ფაზაშია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება, კერძოდ, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებულია როგორც საერთო კრებები, ასევე საკონსულტაციო სხდომები.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობით და ჩვენი აქტიური ჩართულობით, შერჩეული და მხარდაჭერილია, პრიორიტეტების მიხედვით, თუ რომელი ინფრასტრუქტურული პროექტი როდის უნდა განხორციელდეს ამა თუ იმ სოფელში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და შემდეგ ეტაპზე დაიწყება შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება სამშენებლო კომპანიებთან, რომლებიც შეასრულებენ სამუშაოს თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში.

რაც შეეხება თანხების გამოყოფას – ლიმიტები განსაზღვრულია ინფრასტრუქტურის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, რომლებიც ეტაპობრივად განაწილდება მუნიციპალიტეტისათვის დაგეგმილი პროექტების შესაბამისად.

– გარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა, შესაძლებელია თუ არა ინვესტიციების მოზიდვა?

– მიმდინარე წელს, გარდა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებისა, ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სასმელი წყლის სრული რეაბილიტაციის პროექტი ღირებულებით დაახლოებით შვიდი მილიონი ლარი. ასევე დაბა ასპინძის საჯარო და სოფელ ოთის საბაზისო სკოლების სრული რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯება 5 მილიონ ლარამდე.

– მიუხედავად პანდემიისა, რომელიც ორ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა, ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაბაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – კულტურისა და დასვენების პარკის სარიაბილიტაციო სამუშაოები, შემსრულებლის დაუდევრობის გამო, ჩავარდა. გთხოვთ დაწვრილებით გვითხრათ, რამ განაპირობა ყოველივე ეს, რას წარმოადგენს ეს კომპანია, რომელიც ასე ზერელედ მოეკიდა ამ საქმეს. რა სახის ჯარიმა დაეკისრა ამის გამო. ახლა, როცა ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს სამუშაოები, ფაქტიურად, ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობს. თვალნათლივ ჩანს, რომ გაკეთებულიც ფუჭდება, – ქვის ღობის სანახევროდ მოპირკეთებული ადგილებიდან ფილები ცვივა, ზარალი ზარალს ემატება, რაც უეჭველად დიდ გავლენას მოახდენს მის ხარისხსა და ცხადია, ხარჯებსაც მნიშვნელოვნად გაზრდის.

– გეთანხმებით და, ერთის მხრივ, მართლაც შესაქებიცაა – პანდემიის ფონზე არ შეგვიჩერებია არცერთი პროექტის განხორციელება, რის და რამდენი შრომის ფასად ვახერხებდით ამას, ეს ცალკე საკითხია და დასკვნების გაკეთება ასპინძელებისათვის მიგვინდია, მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრი პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა ბოლო 2 წლის განმავლობაში, გარდა ერთისა – კულტურისა და დასვენების პარკის, მისი მიმდებარე ქუჩებისა და საფეხმავლო ტროტუარების კეთილმოწყობა. ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ პროექტის ვადებში ვერ განხორციელებით რაიმე ფინანსური ზარალი მოგვადგება ამით. ზოგჯერ, პირიქითაც ხდება, – თუ ვინმემ იზარალა, ეს თვითონ სამშენებლო კომპანიაა. არასასიამოვნო ისაა, რომ ვადებმა გადაიწია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით და მოსახლეობას დროულად ვერ შევუსრულეთ დანაპირები. რაც შეეხება სანქციებს, ყველა სანქცია გამოყენებელი იქნა სამშენებლო კომპანიის მიმართ ფულადი ჯარიმების სახით. რაც გათვალისწინებულია კონტრაქტით და დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს და იმედს ვიტოვებთ, რომ სამშენებლო კომპანია ამჯერად შეასრულებს აღებულ ვალდებულებას და პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც აუცილებლად მოიცავს სამუშაოების ვადებს და ხარისხს.

– ბრძანეთ, რომ მუნიციპალიტეტში მასშტაბური პროექტების განხორციელება იგეგმება, მაგრამ არ შეიძლება არ გითხრათ, რას ფიქრობთ ხარისხიანი სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, რა სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს ეს პროექტი?

– მუნიციპალიტეტში მიმდინარე მასშტაბური პროექტებიდან კვლავ გამოვყოფდით მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგებას, რაც მდგომარეობს შემდეგში: – სოფელ ოშორის, ოთისა და დაბის მოსახლეობის ხარისხიანი წყლით მომარაგების პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს და მისი მიზანია მოსახლეობამ 24-საათიანი უზრუნველყოფა.

– როგორ ფიქრობთ, სამომავლოდ რა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იგეგმება იმისათვის, რომ დამატებით შეივსოს მუნიციპალიტეტის შემოსავლები?

– მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რაც გაკეთდა იმას უნდა მოვუაროთ, მოვეფეროთ, შევინარჩუნოთ და მომავალ თაობას შევუნახოთ. თუმცა ბევრი კეთდება, გასაკეთებელს მაინც რა გამოლევს ამქვეყნად, მაგრამ პრიორიტეტები სწორადაა გასათვლელი და ასარჩევი. არჩეული ისაა, რაც ჩემი საარჩევნო პროგრამით იყო გათვალისწინებული. მეორე ვადით მუნიციპალიტეტის მერის მანდატი იმისთვის მომცა ამომრჩეველმა, რომ გაგრძელდება განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, მაქსიმალური ხელშეწყობა, ასევე გაგრძელდება სასმელი და სარწყავის წყლების მაგისტრალების მშენებლობა, მთავარი კი ისაა, რომ ამ ყველაფერში აუცილებლად იქნება ჩვენი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და მათი მოთხოვნები გათვალისწინებული.

– ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და განსაკუთრებით თვალშისაცემია ერეკლე მეფის მემორიალის გარშემო ტერიტორიის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა-მოპირკეთებით, მაგრამ ამ გარემოს იერსახეს უკარგავს ე.წ. ავტოსადგურის ტერიტორიის მოუწესრიგებლობა. ცხადია, თქვენს კომპედენციაში არ შედის იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა ველოდოთ თუ არა, მომავალში, მის კეთილმოწყობას?

– ერეკლე მეფის მემორიალის გაშემო რა ინფრასტრუქტურაც მოეწყო, პრემიერ- მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის – ურბანული პროექტის – ,,განახლებული რეგიონების“ – შედეგია. .ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას მომზადებული ქონდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სახელწოდებით „ასპინძის ომის ამსახველი მონუმენტის გარშემო ინფრასრუქტურის მოწყობა“ და ე.წ. სამკუთხა სკვერის რეაბილიტაცია. ღირებულებით 640 ათასი ლარი, რაც შესრულებული იქნა განსაზღვრულ ვადებში, რამაც მოსახლეობის დიდი მოწონება დაიმსახურა. თუმცა, რაც შეეხება ე.წ. ავტოსადგურის ტერიტორიას, იგი კერძო საკუთრებაშია. მერიას ქონდა კონკრეტული შეთავაზებები მესაკუთრესთან (რამდენიმე ვარიანტი), სამწუხაროდ, შედეგს დღემდე ვერ მივაღწიეთ. ამჟამადაც ვაგრძელებთ კონსულტაციებს და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში აღნიშნული ტერიტორია მიიღებს კეთილმოწყობილ სახეს.

– და ბოლოს. რისი თქმა შეგიძლიათ „რუსთავჰესის“ მშენებლობის თაობაზე. როდისთვის იგეგმება მისი დამთავრება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი საორიენტაციოდ რა თანხით შეივსება?

– რაც შეეხება ,,რუსთავჰესის“ მშენებლობას: როგორც ცნობილია, რამდენჯერმე შეიცვალა პროექტის განხორციელების კონკრეტული მიმართულებები. მე ნამდვილად არ გამაჩნია ზუსტი ინფორმაცია მშენებლობის დამთავრების ვადებთან დაკავშირებით. თუმცა, იმის თქმა, რომ ქონების გადასახადის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იღებს საკმაოდ კარგ შემოსავალს, ეს ტენდენცია გაგრძელდება და დამთავრების შემდეგ ასევე მოსალოდნელია გაჩნდეს დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც დადებითად აისახება დასაქმებულ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე და მათ ოჯახებზე.

– დამატებით ხომ არაფერს გვეტყოდით?

– მადლობას გიხდით იმ ყურადღებისთვის, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების გაშუქებით რომ ინტერესდებით. მშვიდობა და ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო ყველას. ვისარგებლებ შემთხვევით და ასპინძის ამომრჩეველს მინდა უღრმესი მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადო გასული წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისა და ჩემდამი მხარდაჭერისათვის, რათა მქონოდა პატივი არჩეული ვყოფილიყავი მეორე ვადით ამ ულამაზესი მუნიციპალიტეტის მერად.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო!

გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ ბერიძე

„კოვიდ -პანდემიის“ მოკლე მიმოხილვა

2022 წლის მაისია, ზუსტად 2 წელი და 2 თვეზე მეტი გავიდა კოვიდ-19 -ის პანდემიის გამოცხადებიდან. საქართველოში მილიონ ექვსასი ათასზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა ამ ვირუსით, 16 ათასზე მეტი კი გარდაიცვალა.

პანდემია-ეპიდემიას თან ახლდა მასშტაბური სტრესი, რამაც ათასობით ადამიანი სოციალურ იზოლაციაში მოაქცია. ამას დაემატა ეკონომიკური პრობლემები, ადამიანთა ემოციური გამოფიტვა, დამთრგუნველი ურთიერთდამოკიდებულება, საქმისა და ერთმანეთის მიმართ გულგრილობა, პროფესიული არაეფექტურობა, სწავლისა და სწავლების დამუხრუჭება, პიროვნული მიღწევების დაქვეითება, მავნე ჩვევებისადმი მიძალება... ყველაფერმა ამან ადვილად დაილექა ადამიანების მეხსიერებაში და გარკვეულწილად შეაფერხა მათი განვითარება და წინსვლა.

განვლილი უმძიმესი პერიოდი, თითქოსდა „გადარჩენილების“ პოზიციიდან, ერთი შეხედვით, იოლად მოსათხრობად გვეჩვენება, მაგრამ არავინ ისურვებს მსგავსის განმეორებას. ნიშანდობლივია, რომ პანდემიამ მსოფლიოს დაპროგნოზებული 100 წლის შემდეგ შეახსენა თავი და ეს მოხდა ციფრულ საუკუნეში, სადაც ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება – ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი დადებითი მხარე პანდემიის მართვისათვის.

ჯერ კიდევ მე-6 საუკუნიდან არსებობს პანდემიური ე.წ. „ჟამიანობის“ შესახებ მწირი ჩანაწერები, შემდეგ შავი ჭირის, ქოლერის და გრიპის პანდემიებს, სხვადასხვა დროს, ჩვენი ქვეყანაც მორჩილად შეუერთდა.

ეპიდემიის განმავლობაში სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, მიდგომები ეპიდემიის მართვის პროცესში იცვლებოდა – ინფექციის შეკავების ფაზაში პრიორიტეტი იყო მოგზაურობის მქონე და კონტაქტში მყოფი ადამიანების თვითიზოლაციაში გადაყვანა, შეიქმნა და მაქსიმალურად დაიტვირთა ე.წ. საკარანტინო სივრცეები; საზოგადოებამ საკუთარ თავზე გამოსცადა ლოქდაუნისა და იზოლაციის დამთრგუნველი გავლენები; როცა ქვეყანა შევიდა, ე.წ. შიდა გავრცელების ფაზაში, წარმატებით მიდიოდა ოქროს სტანდარტის მქონე ლაბორატორიული „პჯრ“ ტესტირება, შემდეგ, მომართვიანობის მატებასთან ერთად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, დაემატა შედარებით მარტივი და მისაწვდომი სწრაფი ანტიგენტესტირება, რომელიც არა ნაკლებ დადებით შედეგებს ავლენდა, მაქსიმალურად დაიტვირთა ჰოსპიტალური სექტორი, ეტიოტროპული სამკურნალო პრეპარატი კოვიდ-19-ის პანდემიური შტამების საწინააღმდეგოდ ამ დრომდე არაა შექმნილი, ამიტომ დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა სიმპტომური ხასიათისა გახლდათ, კოვიდ-19-ის ჩვენთვის ცნობილი მწირი მახასიათებლებიდან გამომდინარე, აქტიური შეიქმნა მისი მართვა როგორც სამკურნალო, ასევე ეპიდემიოლოგიური მიმართულებით, რაშიც დიდი როლი ითამაშა ტელემედიცინამ, მართალია, ეს იყო დებიუტი ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, ზოგადად, ძალიან მორგებული. ადამიანებს უჭირდათ სატელეფონო ვერბალური კონტაქტები ექიმებთან, განიცდიდნენ კოვიდ-19 -ის მიერ სტრესს, ემოციურ დაძაბულობას და ა.შ. ბინაზე მყოფ პაციენტებზე, რომლებშიც დაავადება მსუბუქი ფორმით მიმდინარებდა, იზოლაციაში ყოფნისას სამედიცინო მეთვალყურეობას ახდენდნენ ე.წ. ონლაინ კლინიკის ექიმები; პაციენტთა სპეციალურ ტრანსპორტირებას 112-ის (სასწრაფოს) პერსონალი უზრუნველყოფდა, ათასობით პაციენტის სატელეფონო ზარზე პასუხი და დაკვალიანება ასევე, ონლაინ კლინიკის პრეროგატივა იყო, თავიდან, მოგზაურობის და შემდგომ, ინფიცირებულთან კონტაქტის გამო, ათასობით პირს იზოლაციის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და ვადების განსაზღვრის მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეპიდემიოლოგები და სხვა სპეციალისტები უკავშირდებოდნენ ტელეფონის საშუალებით. ამოქმედდა საინფორმაციო პორტალი, შეიქმნა სხვადასხვა აპლიკაცია, აცრის წინასწარ რეგისტრაციის პორტალი, რაც ითვალისწინებდა კომუნიკაციების სრულყოფას... ადამიანთა აუცილებელ ატრიბუტად იქცა სამედიცინო ნიღაბი, მოხდა სოციუმის ურთიერთდისტანცირება, თავშეყრების აკრძალვა, სადეზინფექციო საშუალებების აქტიურად მოხმარება, დეზობარიერების ვალდებულება სამომხმარებლო დაწესებულებებში, მოხდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების, სკოლების, საბავშვო ბაღების სრული გადაწყობა ახალ უსაფრთხო ზონაში ფუნქციონირების მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, შრომის უსაფრთხოების შეთავსება აღნიშნულ რეკომენდაციებთან, ე.წ. მიტანის სერვისების გააქტიურება და მრავალი სხვა. ყველა ამ რთული პროცედურის განხორციელებაში მისი მართვის მთავარ განმსაზღვრელ – ქვეყნის მთავრობასთან ერთად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების აქტიური მხარდამჭერი იყო ადგილობრივი მმართველობის რგოლის წარმომადგენლობა.

სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო იზოლაციაში ყოფნის (ავადმყოფის და კონტაქტში მყოფი პირის) ვადები, ტესტირების თარიღები. შემდეგ იყო პირველი იმედი – იმუნიზაცია, მალე ჩვენამდე გადაუდებელი გამოყენების კვალიფიკაციის მქონე კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინებმა მოაღწია. ძალიან რთული გამოდგა მოსახლეობის ფართო მასების დარწმუნება იმუნიზაციის უალტერნატივობაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი პირველები აიცრნენ ცნობილი ადამიანები, შემდეგ იყო წამახალისებელი ლატარია, მონეტარული წახალისება, „მწვანე პასპორტი“, ბუსტერ-დოზით იმუნიტეტის გაძლიერება და ა.შ.

კანონმდებლობის თანახმად, მედიკოსების მიერ აქტიურად ხორციელდებოდა მოსახლეობის მასიური ტესტირება, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი იყო სავალდებულო ტესტირება სტრატეგიული დანიშნულების დაწესებულებების თანამშრომელთა, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის, რაც აქტიურად ავლენდა სხვადასხავა კოვიდ-19-ისთვის მაღალი რისკის შემცველ ზონაში დასაქმებულ ინფიცირებულებს, ეს კი, თავის მხრივ, დაავადების დროულ გამოვლინებისა და გავრცელების რისკების მინიმუმამდე დაყვანაში ძალიან გვეხმარებოდა.

ბოლოს ცუნამივით მოვარდა ომიკრონ შტამი, რომელიც შედარებით მცირედ აგრესიული იყო და ადამიანთა ძალიან დიდი რაოდენობა მოიცვა, ასევე, ახასიათებდა არა ერთჯერადი რეინფიცირება, მის მიმართ ვაქცინით დაცვის პროცენტის დაქვეითებაზე იყო საუბარი. შემდეგ უკვე გაუქმდა „მწვანე პასპორტი“, ასევე, 2022 წლის მარტის თვიდან შეწყდა „პჯრ“ ტესტირება და სადიაგნოსტიკოდ დარჩა მხოლოდ სწრაფი, მარტივი ანტიგენით ტესტირება. შესაბამისად, დადებითი შემთხვევებიც მკვეთრად შემცირდა. პანდემიასთან ბრძოლაში ძალზე გადაიღალა და გამოიფიტა სამედიცინო პერსონალი, რაც, პირველ რიგში, შრომის ხარისხზე ზემოქმედებს.

დღესდღეობით კოვიდ-19-ის პანდემია ჯერ კიდევ არაა დასრულებულა. ყოველდღიურად ათეული შემთხვევები მაინც ფიქსირდება.

დღეს მეცნიერები აქტიურად იკვლევენ კოვიდგადატანილ პირებს. უკვე არსებობს გარკვეული მონაცემები კოვიდის შემდგომი შესაძლო პათოლოგიების შესახებ და საინტერესო იქნება შუალედური მონაცემები.

ასევე, გრძელდება აქტიური მეთოდით კოვიდზე ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა, რათა დადგინდეს ვირუსის (SaRS-CoV-2) ახალი ვარიანტების ეპიდემიური გავრცელების პოტენციალი. შესაბამისად, ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის პრიორიტეტულ გამოწვევად რჩება SARS-CoV-2-ის მოცირკულარე ვარიანტების მონიტორინგი ქვეყნის მასშტაბით.

ასპინძის კოვიდ-19-ის სტატისტიკა კი ასეთია:

სულ პანდემიის პერიოდში დღემდე დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა არის 2242. წლების მიხედვით: 2020 – 364; 2021 – 1136; 2022 – 742 შემთხვევა. მათგან გარდაიცვალა 31 (1,4%), გამოჯანმრთელდა - 2211.

კლინიკაში სტაციონარულად იმკურნალა 217 (9,7%) პაციენტმა, დანარჩენი იმყოფებოდა ბინაზე.

90-ზე მეტი რეინფიცირების შემთხვევა იქნა აღრიცხული, რამაც ეჭვს ქვეშ დააყენა პოპულაციური იმუნიტეტის შექმნის ჰიპოთეზა.

2022 წლის მაისში რეგისტრირებულია სულ 3 დადასტურებული შემთხვევა, 13 მაისიდან დღემდე – 0.

მუნიციპალიტეტში ჩატარებულია სულ 3824 კოვიდსაწინააღმდეგო აცრა.

ამჟამად მსოფლიო ჯადაცვის სისტემის წინაშე ახალი გამოწვევა ფორმირდება, – ეს გახლავთ მაიმუნის ყვავილი, მნიშვნელოვანია ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მზადყოფნა ყოველი ცნობილი და უცნობი გამომწვევების მიმართ, ამ ბოლო დღეებში მსოფლიოს სხვადასხვა არაენდემურ ქვეყანაში ფიქსირდება მაიმუნის ყვავილის შემთხვევათა კლასტერები, რომელთა შემთხვევების უმრავლესობა არ ასოცირდება მგზავრობასთან დაკავშირებული ექსპოზიციის რისკებთან და მათი ინფიცირების წყარო უცნობია. აქედან გამომდინარე, მაიმუნის ყვავილის შემდგომი გავრცელების შეზღუდვის მიზნით, უკვე მოწოდებულია რეკომენდაცია გამონაყრით მიმდინარე დაავადებებზე ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ, ადგილებზე. ამ მხრივ შესაბამისი რეკომენდაციებით ეპიდსიტუაციის მონიტორინგი უკვე დაწყებულია.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

მზია პაპაშვილი,
ასპინძის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

24 მაისი, 2022 წელი

იქ, სადაც ნიჭი ფასდება!

მარიამ მაგრაქველიძე

ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამშობლოში დაბრუნდა ასპინძის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ***მარიამ მაგრაქველიძე****, რომელმაც მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამით ერთწლიანი სწავლის კურსი გაიარა და მაღალი აკადემიური მოსწრებით დამთავრა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სკოლა. მარიამის წარმატება კი ასპინძის მუნიციპალიტეტის დიდი სახელია, რამეთურ ესპუბლიკის მასშტაბით მსგავსი პროგრამით ცოდნის მიღება ამ ქვეყანაში, იშვიათი შემთხვევაა.*

ახლახან შეხვდით მარიამ მაგრაქველიძეს და რამდენიმე კითხვა დავუსვით ამერიკაში მიღებული განათლებისა და იქ არსებული სისტემის შესახებ:

მარიამ, პირველ რიგში მოგილოცავ სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ამერიკულ სკოლის განათლების მიღებას. იქნებ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოუთხროთ, რა უძღოდა წინ თქვენს ამერიკაში გამგზავრებას?

— პირველ რიგში მიხარია, რომ საშუალება მომეცა ამერიკაში მიღებული ცოდნისა და იქ გატარებული ჩემთვის ცხოვრებაში დაუვიწყარი ერთი სასწავლო წლის თაობაზე ვისაუბრო.

2019 წლის ზაფხულში დედაჩემმა, რომლის ძალიან დიდი დამსახურებაა ჩემი ეს წარმატება, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის, FLEX-ის შესახებ მითხრა და მირჩია, მონაწილეობა მიეღო. ეს პროგრამა საქართველოში უკვე 29 წელია ხორციელდება და ყველაზე პრესტიჟულ გაცვლით პროგრამად ითვლება მთელ მსოფლიოში. შერჩევის პროცესი მეტად რთული, ხანგრძლივი და კომპლექსურია და ათეულ ათასობით მონაწილეთა შორის ფინალისტად მხოლოდ 2.3% ირჩევა, რომელსაც ვაშინგტონის დამოუკიდებელი კომისია არჩევს, პროცესს ქართული მხარე სრულიად ემიჯნება. კონკურსი სამი ეტაპისაგან შედგება და მოიცავს ინგლისური ენის ტესტს, თავისუფალ ესსეებს, გასაუბრებას, ჯგუფურ სამუშაოს და დეტალურ აპლიკაციას მონაწილის აკადემიური, სამედიცინო, კლასგარეშე აქტივობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ვინაიდან სკოლაში წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, ინგლისურ ენას ჩემი არაჩვეულებრივი მასწავლებლის ინგა ზედგინიძის წყალობით სრულყოფილად ვფლობდი და სკოლის გარეთაც სხვა მრავალი აქტივობით ვიყავი დაკავებული, გადავწყვიტე ბედი მეცადა. შესარჩევი პროცესი გამონვევებით სავსე აღმოჩნდა, თუმცა, ჩემი ოჯახის უდიდესმა მხარდაჭერამ გამიადვილა მიზანზე ვმობილიზებულიყავი. გულწრფელად გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი შრომა და მონდომება ჩავდე, პირველსავე ცდაზე ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი, რადგან „ფლექსზე“ კონკურენტუნარიანი პროგრამა ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ 2020 წლის 13 მაისს ჩემს მობილურზე შემოვიდა ზარი, რომელმაც 16 წლის მარიამის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა.

რა განცდა დაგეუფლათ როცა შეგატყობინეს ?

— დაუვიწყარი შეგრძნება იყო. გუშინდელი დღესავით მახსოვს ის შუადღე. სახლში მე, ჩემი ძმა და ჩემი ბიძაშვილი ვიყავით. როდესაც გავიგე, რომ გამარჯვებულ მოწაწილეებთან დაკავშირება დაიწყო. ძალიან ავნერვიულდი, რადგან, ამ დღეს, 6 თვე ველოდი. უცებ ტელეფონის ხმა გაისმა და ამის შემდეგ მხოლოდ ისღა მახსოვს, როგორ დავრბოდი ოთახიდან ოთახში ყვირილით: „ფინალისტი ვარ!“

რომელ შტატსა და ქალაქში მოგიწიათ სწავლის გაგრძელება და რა პირობები დაგხვდათ?

— ის ერთი დაუვიწყარი წელი ვაშინგტონის შტატში, ქალაქ იაკიმაში გავატარე. შტატის დედაქალაქის სიახლოვეს, სიეტლთან, ძალიან ახლოს ვცხოვრობდი და ხშირად ვესწრებოდი იქ გამართულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს. ულამაზესი წინწნარი ტყეებითა და ნაკრძალებით სავსე შტატმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

რას გამოარჩევდით ამ წლის საუკეთესო ნაწილად?

— ვფიქრობ, ყველა გაცვლითი პროგრამის სტუდენტის ცხოვრების უდიდესი ნაწილია ოჯახი, რომელთანაც ისინი ცხოვრობენ. ჩემს შემთხვევაში, მასპინძელი ოჯახი, პროგრამის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი აღმოჩნდა. ოჯახში მშობლებთან და მათ სამ შვილთან ერთად ვცხოვრობდი. დარკომ და მიშემ საკუთარი შვილივით მიმიღეს და მაზიარეს დასავლურ კულტურას, სამზარეულოსა და მენტალიტეტს. ჩემი მასპინძელი ოჯახის მამა, დარკო, სერბი გახლდათ, იგი თავადაც გაცვლითი პროგრამის სტუდენტი ყოფილა ამერიკაში 1991-1992 წლებში. ამ პერიოდში სერბეთში ომი დაიწყო და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დარკომ სამშობლოში დაბრუნება ვეღარ მოახერხა. ასე, რომ, ამ ერთი წლის მანძილზე, საშუალება მომეცა არა მხოლოდ ამერიკულ, არამედ სერბულ კულტურას გავცნობოდი. გარდა ამისა, ოჯახის წევრები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და მათთან ერთად ხშირად დავდიოდი ეკლესიაში, ვმარხულობდი და ვესწრებოდი ლიტურგიას.

იქნებ დაწვრილებით გვიამბოთ იმ სკოლის შესახებ, სადაც თქვენ სწავლობდით.

— რომელ სკოლაშიც მომინია სწავლა, ძალიან გამიმართლა, რადგან იგი რეგიონის ყველაზე პრესტიჟული კერძო სკოლაა, — ლა სალში ჩავირიცხე, რომლის აკადემიურ რეპუტაციასაც ქვეყნის მასშტაბით იცნობენ. ამავე სკოლაში ირიცხებოდა ყირგიზი ბიჭი, რომელიც ასევე ფლექსის ფინალისტი იყო. სკოლის შენობა შედგება 4 კამპუსისაგან, რომელთაგან ყველაზე დიდ დროს მეცნიერებათა კათედრაზე ვატარებდი. ამ შენობაში მოწყობილი იყო ქიმიური ლაბორატორია და სპეციალური ოთახი ანატომიის გაკვეთილებისათვის. წლის განმავლობაში თანაკლასელებთან ერთად უამრავი ექსპერიმენტი ჩავატარე, — დავამზადე საპონი, მოვაოქროვე მონეტა, ავაწყე ბატარეები და ა.შ. ასეთი აქტივობები სწავლის პროცესს უფრო სახალისოსა და საინტერესოს ხდიდა.

რაც შეეხება მოსწავლეების ასაკს, ფლექსის პროგრამა აქცენტს X-XII კლასის მოსწავლეებზე აკეთებს. ჩემ შემთხვევაში სიტუაცია „კოვიდ-პანდემიამ“ გაართულა. სტიპენდია X კლასში მივიღე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკაში XI კლასი უნდა გამეტარებინა. თუმცა, პანდემიის გამო, ერთი წლით დაღოდება მომინია და ლა სალში სენიორად, ანუ XII კლასის მოსწავლედ ჩავირიცხე.

ხომ არ გაგიჭირდათ ქართული გარედმოდან ინგლისურ გარემოში გადასვლა?

— საბედნიეროდ, ინგლისურ ენას ამერიკაში წასვლამდეც სრულყოფილად ვფლობდი, ამიტომ ენის ბარიერი არ მქონია. როგორ უკვე აღვნიშნე, მართლმადიდებელ ოჯახში ვცხოვრობდი, ამიტომ არც რელიგიურ ჭრილში გამიჭირდა შეგუება. თუმცა არაფერი მახსენდება ისეთი, რამაც ჩემი ადაპტაციის პროცესი გაართულა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი მასპინძელი ოჯახის ძალიან დიდი დამსახურებაა, რომელმაც საკუთრი შვილივით მიმიღო და ამ ერთი წლის განმავლობაში სიყვარულს არ მაკლებდა.

რა განსხვავება დაინახეთ ქართული და ამერიკული განათლების სისტემებს შორის?

— პირველ რიგში ამერიკულ სკოლებში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლის ფიზიკურ აღზრდას. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეთა უმეტესობას 2-3 საათიანი ვარჯიშები ჰქონდათ, საშუალება აქვთ ისარგებლონ როგორც კლუბით, ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიიღონ მონაწილეობა მთელი წლის განმავლობაში. მე ჭადრაკის კლუბში მიმიღეს და სპორტის სახეობად ჩოგბურთი ავირჩიე. ძალიან დიდი და საინტერესო გამოცდილება მივიღე, რადგან მანამდე ჩოგბურთი არასდროს მითამაშია. გარდა ამისა, ქართული სკოლებისაგან განსხვავებით, ლა სალი იყენებს ელექტრონულ სისტემას საშინაო დავალებების შესასრულებლად. ყველა მოსწავლე ელექტრონულად გზავნის საკუთარ ნამუშევარს და შეფასებასაც ყოველდღიურად იღებს. იმ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდებიან საშინაო დავალებებისა და საკლასო სამუშაოების შესრულებას. ბავშვები გაკვეთილზე არ არიან განაწილებულები ასაკის მიხედვით, შესაძლებელია ერთ გაკვეთილზე IX-XII კლასის მოსწავლეები ერთად ისხდნენ. დიდი განსხვავებაა იმაშიც, რომ დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლებას მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებში იღებენ. მაგალითად, ჩემს სკოლაში მხოლოდ IX-XI და XII კლასის მოსწავლეები იყვნენ.

შენს გარდა საქართველოდან თუ იყვნენ სხვა მოსწავლეები?

— ჩემ სკოლაში საქართველოდან სხვა არავინ ყოფილა, თუმცა ვაშინგტონის შტატში იყო რამდენიმე ქართველი. ორ მათგანს შევხვდი კიდეც. სპოკანეში ,აპრილის ბოლოს, ამერიკელი მუსიკოსის კონცერტს დავესწარი და ჩემმა მასპინძელმა ოჯახმა იქ მცხოვრები ქართველი, გაცვლითი პროგრამის სტუდენტი, ნოდარიც, ჩვენთან ერთად დაპატიჟა და კონცერტის ბილეთიც კი აჩუქა.

სწავლა ჩვეულებრივ მიმდინარეობდა სხვა მოსწავლეებთან ერთად?

— დამატებითი მეცადინეობები არ მქონია, როგორც ყველა დანარჩენი, მეც იმავე დატვირთვით ვმეცადინეობდი. არც შეფასების კრიტერიუმები იყო რაიმე მხრივ განსხვავებული ან ლოიალური. ეს ფაქტი ძალიან მახარებს, რადგან ვიცი, რომ შტატის ყველაზე კონკურენტუნარიანი სკოლა უმაღლესი შეფასებით დავასრულე.

საგნობრივ სწავლებაში, საქართველოსაგან განსხვავებით, რა საგნებია ისეთი, რაც აქ არ ისწავლება, გამოსაშვები გამოცდები თუ გქონდათ?

— ძალიან ბევრი საგანი ისწავლება, რომელებიც აქცენტს პიროვნულ განვითარებასა და ლიდერულ უნარ-ჩვევებზე აკეთებენ. იყო სპეციალური საგანი, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგი უნარ-ჩვევების, როგორიცაა, მაგალითად, ავტომანქანის საბურავის გამოცვლა, მიკროტალღური ღუმელის შეკეთება და ა.შ. — შესასწავლად. ჩემთვის ყველაზე საინტერესო ფიზიოლოგია, ანატომია, პოლიტიკა და კალკულუსი, იგივე უმაღლესი მათემატიკა, იყო. ორივე სემესტრის ბოლოს შვიდივე საგანში ფინალური გამოცდები მქონდა. 7 საგნიდან ორი ვაშინგტონის უნივერსიტეტის კურსი იყო, ფიზიოლოგია&ანატომია და ქიმია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორი საგნის აკრედიტაციის გამოცდის ტესტი თავად უნივერსიტეტმა უზრუნველყო. ეს გამოცდები, განსაკუთრებით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია. გადავწყვიტე, თავდაუზოგავად მემეცადინა და შედეგმაც არ დააყოვნა. ორივე სემესტრის გამოცდებში ყველა საგანში უმაღლესი შეფასება — 100% მივიღე. გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლამ გამოაქვეყნა რეიტინგული სია, რომლის სათავეშიც მე აღმოვჩნდი. უბედნიერესი ვიყავი. სკოლის დირექტორმა მიმინვია შეხვედრაზე, სადაც საზეიმოდ გადმომცა წარჩინების დიპლომი. ყველაზე განსაკუთრებული მაინც ისაა, რომ სკოლის ისტორიაში რეიტინგული სიის პირველი ადგილი უცხოელ მოსწავლეს არასდროს დაუკავებია. ჩემთვის ეს იყო უდიდესი წარმატება. სამწუხაროდ, ქვეყნის დატოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გამო ადრე მომიწია, ამიტომ ოფიციალურ გამოსაშვებ ცერემონიას ვერ დავესწარი. მიუხედავად ამისა, სკოლის დირექტორმა ტედ კანელო-პოლოსმა და მისმა ასისტენტმა, ემილი ჰევერლომ, წამოსვლამდე სიურპრიზი, — მხოლოდ ჩემთვის, პერსონალური ცერემონია მოანყეს და გადმომცეს წარჩინების ოქროს არშია, რომლის მისაღებად, წესისამებრ, მოსწავლემ უნდა შეინარჩუნოს უმაღლესი — 4.0 ჯიპიეი. ასევე გადმომცეს წარჩინების დიპლომი. დირექტორმა თავად გადმომცა მანტია და ძვირფასი სიტყვებით შეამკო ჩემი ლა სალში ყოფნის პერიოდი. გარდა ამ ჯილდოებისა, ჩემდა გასაკვირად, კიდევ დავიმსახურე დიპლომი — ინგლისური ენის კლასში უმაღლესი შეფასების შენარჩუნებისათვის, რაც ძალიან მხოლოდ მე ვიყავი იმიტომ, რომ ამ კლასში მხოლოდ მე ვიყავი ისეთი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა არ ყოფილა.

მოსწავლისთვის სავალდებულოა თუ არა უნი ფორმის ტარება ?

— მოსწავლისთვის უნიფორმით სიარული სავალდებულო არაა, მაგრამ, ვინაიდან პრესტიჟულ კერძო სკოლას წარმოვადგენდით, ძალიან მკაცრი დრესკოდი გვქონდა. მხოლოდ განსაზღვრული ფერის, ფორმისა და ზომის ტანსაცმელი შეგვეძლო გვეტარებინა და, ამასთან, შეზღუდული იყო ყველანაირი სახის სპორტული ფორმით გაკვეთილზე გამოცხადება.

ჯგუფში რამდენი მოსწავლე იყავით და რა ფორმით ხდება მოსწავლეთა სწავლის დონის შეფასება?

— დამამთავრებელ კლასში 49 მოსწავლე ვიყავით. თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალურად ფასდებოდა საშინაო დავალებების, საკლასო პროცესში, დისკუსიებსა და დებატებში ჩართულობის, ქვიზების და საკონტროლო წერების საშუალებით. ელექტრონულ სისტემაში იტვირთებოდა ნიშნები, რომელზე წვდომაც ჰქონდა მოსწავლის გარდა მის მშობლებსაც.

ამერიკაში მიღებულმა ცოდნამ რა შეგძინათ?

— ამერიკაში მიღებულმა ცოდნამ, გარდა უდიდესი გამოცდილებისა, შემძინა მეგობრები, ურთიერთობები, მოგონებები და, რაც ყველაზე მთავარია, ახლებური პერსპექტივა ჩემი რეგიონის და ქვეყნის მომავალზე.

თქვენი სამომავლო გეგმები.

— ამერიკაში ჩავირიცხე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სამედიცინო უნივერსიტეტში University of Washington, მოვიპოვე წარჩინების სტიპენდიაც 20 000$ ოდენობით. თუმცა, იმის გამო, რომ ამერიკის მოქალაქე არ ვარ, ფედერალურ გრანტზე განაცხადის შეტანა არ შემიძლია. შესაბამისად, უნივერსიტეტის საფასურის გადახდა, სტიპენდიის მიუხედავად, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ ავიღე აკადემიური წელი. ვიდრე დოკუმენტაციას და ვიზას მოვაწესრიგებ იმ დონეზე, რომ შევძლო ფედერალურ გრანტზე განაცხადის შეტანა. მანამდე კი, წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებს ვაბარებ, იმედი მაქვს დასახულ მიზანს მივაღწევ და იმ სამედიცინო უნივერისტეტში მოვხვდები, რომელიც უკვე დიდი ხანია შეთვალიერებული მაქვს.

გამადლობთ, მარიამ ასეთი საინტერესო საუბრისათვის და იმედია ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გსურს და, რაც მთავარია, გვჯერა უფრო მეტი დიდი წარმატებები წინ გელის. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს!

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ მესხი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა

პროგრამის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.

პროგრამის ამოცანას წარმოადგენს, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით აგრო -პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა.

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია 0.25 ჰა-დან 1,25 ჰა-მდე ჩათვლით მინის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა ყოველ 1 ჰა მინის ნაკვეთზე გადაანგარიშებით განისაზღვრება 300 ლარით (ქულით).

აგრეთვე, თუ მინის ნაკვეთები ბენეფიციარების თანასაკუთრებაშია 0.25 ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით, თითეულ ასეთ მინის ნაკვეთზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 300 ლარით (ქულით) ყოველ 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით.

იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარ(ებ)ს მინის ნაკვეთები გააჩნიათ როგორც საკუთრებაში, ასევე თანასაკუთრებაში, სუბსიდიის თანხის დაანგარიშებისას არ იქნება გათვალისწინებული საკუთრებაში და თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების ფართობების ჯამი და ასეთი ბენეფიციარები სუბსიდიის თანხას მიიღებენ ცალ-ცალკე.

თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთ(ებ)ის შემთხვევაში, სუბსიდია გაიცემა ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე, რომელიც ბანკში წარადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობის დოკუმენტს, რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, — თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია ან ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილი თანხმობის დოკუმენტი, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმდგენი თანამესაკუთრე, რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია.

მინის ნაკვეთს, თუ საჯარო რეესტრის ამონაწერში მინიჭებული აქვს სათიბი ან/და საძოვრის კატეგორია, ვერ მიიღებს სახელმწიფო სუფსიდიას.

სუბსიდიის მისაღებად პოტენციურ ბენეფიციარს 2022 წლის 20 აპრილისთვის საკუთრებაში ან/და თანასაკუთრებაში უნდა გააჩნდეს მინის ნაკვეთ(ებ)ი ჯამური ფართით არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 1.25 ჰა ან/და არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით, განახორციელოს მინის ნაკვეთ(ებ)ის პირველადი რეგისტრაცია ან ინფორმაციის იმ სახით დაზუსტება, რომლითაც იდენტიფიცირებადი გახდება, აკმაყოფილებს თუ არა პირი პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებს.

ბენეფიციარებზე წინა წელს გაცემული აგრობარათები კვლავაც აქტიურია ქულების დასარიცხად და ახალი ბარათების ასაღებად უნდა მიმართონ სს „ლიბერთი ბანკს“, ახალ ბარათებს ბანკი ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს.

სს „ლიბერთი ბანკი„-ის მიერ ქულების დარიცხვა ხდება ეტაპობრივად, დარიცხული ქულების შესამოწმებლად ფერმერი უნდა დაუკავშირდეს ბანკს ცხელ ხაზზე (032 2 555 500) ან გადაამოწმოს ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://myliberty.ge/?id=agro

ბარათზე დარიცხული ქულებით 0.25 ჰა და 1.25 ჰა-მდე მინის ფართობის მფლობელებს/თანამესაკუთრეებს, სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონელი. სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://myliberty.ge/files/Agro.pdf

ბარათზე დარიცხული ქულების (თანხის) გამოყენების ბოლო ვადაა 2022 წლის 30 ნოემბერი.

* პროგრამის განმახორციელებელია სოფლის განვითარების სააგენტო;

* პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ოლღა ბერიძე ველიჯანაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

საქველმოქმედო ღონისძიებები მრავლდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრი „World Vision''-ის ფინანსური მხარდაჭერითა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, სასურსათო ამანათები და ჰიგიენური საშუალებები გადაეცათ.

საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია მოსახლეობის სახელით მადლობას უხდის სამცხე-ჯავახეთის განვითარების ცენტრ – ,,World Vision''-ის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს თანადგომისთვის.

აქტიურად დაიწყო სასოფლო კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხერთვისში დაიწყო კლუბის რეაბილიტაცია.

მიმდინარე სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა ადგილზე დაათვალიერეს.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,ნიუ პროჯეკტი'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 199 555 ლარს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია: კლუბის სრული რეაბილიტაცია ადაპტირება. დამონტაჟდება თეატრალური სკამები და მოეწყობა სცენა.

სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვულ ვადებში დასრულდება.

შეხვედრა ხიზაბავრის უხუცესებისა და „ჰუმანიტარული დღის ცენტრის“ სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებთან

ყველას კარგად მოეხსენება, რომ თანამედროვე მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. უკრაინაში მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი, თავისი მასშტაბებით, დიდი ხანია გასცდა მათ საზღვრებს და, ფაქტიურად, მთელი მსოფლიო მოიცვა, რითაც დიდი საშიშროების წინაშე დადგა კაცობრიობის მომავალი. ამიტომაც არის, რომ ქართველ ერს დიდი სიფხიზლე მართებს, რამეთუ, ჩვენ, როგორც ტერიტორიებდაკარგულ ქვეყანას გარე ძალებმა არ გვიბიძგონ იმ ავანტურაში ჩათრევა, რასაც ისინი გეგმავენ.

საქართველო, როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობითაც, პატარა ქვეყანაა და მისთვის ომი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ტოლფასი იქნება და ამიტომ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთო, რომ თავიდან ავიცილოთ ის უბედურება, რომლის თავსმოხვევა მათ სწადიათ.

ფაქტები მეტყველებენ, რომ, მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, კატასტროფულად გაუარესდა მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა – ბევრი სოფელი და ოდესღაც დასახლებული პუნქტები მთლიანად დაცარიელდა, ან განახევრდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც სოფელი ხიზაბავრაა, რომელიც ოდესღაც ერთ-ერთ დიდი სოფლი იყო სამცხე-ჯავახეთში. ამჟამად კი სკოლამდელი აღზრდის ბავშვთა რაოდენობა კატასტროფულადაა შემცირებული. ამიტომ ყველანაირი მუშაობა

გვმართებს, რომ სოფელს სოფლის სახე შევუნარჩუნოთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ის ღონისძიებაც, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ჩავატარეთ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სოფლის მოსახლეობაში.

როგორც ვთქვით, სოფელი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას. ახალგაზრდები კი დღითიდღე ტოვებენ სოფელს. სოფლად დარჩენილი მოხუცები რომ არ იყვნენ ბედის ანაბარად მიტოვებულები, მათ მეტი თანადგომა და მოფერება ჭირდებათ. ამიტომაც ხიზაბავრის იესოს გულის სახელობის და ლათინ კათოლიკეთა ეკლესიის სახელით გადავწყვიტეთ შეხვედრა მოგვეწყო სოფლის უხუცესებსა და ცენტრის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებთან. შეხვედრას დავარქვით „პაპა-ბებოებისა და შვილიშვილების შეხვედრა“. „დღის ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად შევადგინეთ პროგრამა და დავთქვით შეხვედრის დღე და დავარიგეთ მოსაწვევები. პირველი შეხვედრა გაიმართა მიმდინარე წლის 10 აპრილს, ხოლო მეორე, მოხუცების თხოვნით, 9 მაისს. ეს შეხვედრაც შედგა და მონაწილეობის მისაღებად გაცილებით მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე ჩვენ მოველოდით, არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ფაშიზმზე გამარჯვება გვეზეიმა, არამედ იდეაში ჩადებული იყო ის, რაც ამ პროექტით იყო გათვალისწინებული.

სოფლის უხუცესებმა ბავშვებსა და ახალგაზრდებს მოუყვნენ მათი ახალგაზრდობის წლებზე, გაიხსენეს ძველი ამბები, ხაზგასმით აღნიშნეს საკუთარი რწმენის შესახებ, რომელსაც დღემდე სათუთად უფრთხილდებიან.

ხიზაბავრელებმა სიყვარულით გაიხსენეს საბჭოთა პერიოდის შემდეგ მათი პირველი მოძღვარი, კათოლიკე მისიონერი, კამილიელთა ორდენის წევრი, მამა პავლე შჩიპანეკი, რომელიც 1997 წელს ჩამოვიდა პოლონეთიდან საქართველოში და იმავე წელს სოფელ ხიზაბავრის იესოს გულის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. დაახლოებით ორი წელი იყო იგი ამ ტაძრის წინამძღვარი და თავისი მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში მაინც ბევრი დიდი საქმის გაკეთება მოასწრო.

გარდა საეკლესიო ცხოვრებისა, სოფლის ხანდაზმულებმა საკუთარი შესაძლებლობებიც გამოავლინეს, – წარმოადგინეს საკუთარი ლექსები და ძველი სიმღერები.

ზოგიერთი მათგანისთვის ყველაზე რთულად გასახსენებელი მეორე მსოფლიო ომის პერიოდი აღმოჩნდა. მაშინ ისინი პატარები იყვნენ, თუმცა მშობლების ომში წასვლით გამოწვეული ტკივილი დღესაც ახსოვთ და ამ ტკივილს ხშირად საკუთარ ლექსებშიც გამოხატავენ.

შეხვედრას 80 წელს გადაცილებული 12 ხიზაბავრელი მოხუცი ესწრებოდა. თავის მხრივ კი, ახალგაზრდებმა პატარა, მაგრამ დასამახსოვრებელი თეატრალური წარმოდგენა მიუძღვნეს და ცოცხალი ყვავილებითაც დაასაჩუქრეს.

გადაწყვეტილი გვაქვს ანალოგიური შეხვედრები ტრადიციული გავხადოთ და ყოველწლიურად, ანალოგიური ფორმატით ჩავატაროთ.

ნანა დათაშვილი,
ჰუმანიტარული დღის ცენტრი „ხიზაბავრის“ მენეჯერი

სპორტი

წარმატებით გეასპარეზოს, ჩვენო მარიამ!

ჩვენი გაზეთის მკითხველებს არაერთხელ მივაწოდეთ საინტერესო ინფორმაციები ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შესახებ, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობებზე და დიდი წარმატებებისთვისაც მიუღწევიათ. სხვადასხვა წონით კატეგორიაში ბოლო ხუთი წლის მანძილზე კი გამარჯვების კვარცხლბეკზე ბევრმა მათგანმა ასახელა თავისი მშობლიური მხარე. სასიამოვნოა, რომ კორონა ვირუსის პანდემიის შემდეგ მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება და, როგორც იტყვიან, ახალი წარმატებებით ჩვენი სპორტსმენები კიდევ მრავალჯერ გაახარებენ თაყვანისმცემლებს და შორს გაუთქვამენ სახელს ასპინძას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების წევრის ძიუდოში, დაბა ასპინძაში მცხოვრები მარიამ ფოცხვრაშვილის წარმატებები, რომელმაც სხვებთან შედარებით კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ასპინძელ სპორტსმენებს და იგი დღეს სამართლიანად წარმოადგენს საქართველოს სახელს საერთაშორისო ასპარეზობებში. მან ახლახან წინასაასპარეზო წვრთნა გაიარა ქ. გორში და მონაწილეობას მიიღებს 2-9 ივნისს ავსტრიაში დაგეგმილ ევროპის თასზე. ხოლო 11-12 ივლისს ხორვატიაში მარიამ ფოცხვერაშვილი მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა ოლიმპიურ თამაშებში და 23-30 ივლისს სლოვაკეთში მსოფლიო ჩემპიონატში. ეს კი ჩვენი მიწაწყლის შვილის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა და პირველი შემთხვევაა მუნიციპალიტეტის სპორტის ისტორიაში მსგავს საერთაშორისო ასპარეზობებში ასპინძის მკვიდრის მონაწილეობისა.

წინ დიდი და დაუღალავი ბრძოლები ელის ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენ გოგონას და გვჯერა, სასახელო ფურცელს ჩაწერს ქართული სპორტის განვითარების საქმეში.

ჩვენ კი იმედიანად დაველოდებით მის მომავალ ასპარეზობას საერთაშორისი მასშტაბით და იმედს გამოვთქვამთ, რომ კიდევ დიდ წარმატებებს მიაღწევს მარიამი.

ცხადია, ეს წარმატება მარტო მარიამის მიერ არაა მიღწეული, რაემთუ სახელოვან სპორტსმენად ჩამოყალიბებას უპირველესად გამოცდილი აღმზრდელი ჭირდება, მწვრთნელი, რომლის ასევე დაუღალავ შრომაზეა დამოკიდებული მომავალი სპორტსმენის მომზადებასა და ჩამოყალიბებაში. და ამ მისიას შესანიშნავად გაართვა თავი თავად ცნობილმა სპორტსმენმა და მრწვთნელმა გოდერძი ველიჯანაშვილმა, რომლის სახელთან ბევრი დიდი წარმატებებია დაკავშირებული.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელით, ვუსურვებთ მარიამ ფოცხვერაშვილს საერთაშორისო არენაზე დიდ წარმატებებს და გვჯერა, იმედს არასოდეს დაუკარგავს თავის გულშემატკივრებს.

„ტაოელთა“ კიდევ ერთი გამარჯვება

უკანასკნელი ათეული წელია საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უკავია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების დიდ და საშვილიშვილო საქმეს. როგორც იტყვიან, – ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო და სპორტის განვითარებით ჯანსაღი მომავალი თაობები აღიზრდებიან.

სპორტის ერთ-ერთი სახეობის – რაგბის განვითარებისთვის კი მაქსიმალური კეთდება და სასიამოვნოა, რომ სპორტის ამ სახეობაში დღითიდღე მატულობს ასპინძელი ახალგაზრდების ჩართულობა. მათთვის კი ფაქტიურად რაგბი სპორტის ნამყვან მიმართულებად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ამ ათიოდე წლის წინ ე.წ. კურორტის მიმდებარედ, რაგბის თანამედროვე ტიპის სპორტული მოედნის მშენებლობა და იგი წარმატებით ასრულებს იმ მისიას, რაც მის წინაშე დაისახა. რაგბისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგია ისიც, რომ ადგილობრივ რაგბისტთა წარმატებები ყველაზე ხელშესახებია. ახლახან, 22 მაისს კი კიდევ ერთი დიდი გამარჯვების მომსწრენი გავხდით, როცა „ტაოელებმა“ „ყაზბეგელებთან“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა (36:24) და უმაღლეს ლიგას კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთსა და მძლეოსნობაში

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 2006-2007-2008 წლებში დაბადებული მოსწავლეები, როგორც გოგონები, ასევე, ვაჟები.

აღნიშნულ ჩემპიონატზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული თასებით, მედლებითა და სიგელებით.

ჩემპიონატის მიზანი იყო მოზარდ თაობაში სპორტის სხვადასხვა სახეობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

მინი-ფეხბურთში გამარჯვებულები და საპრიზო ადგილზე გასულები:

ვაჟები
I ადგილი – ტოლოშის საჯარო სკოლის გუნდი;
II ადგილი – ნაქალაქევის საჯარო სკოლის გუნდი;
III ადგილი – ოშორის საჯარო სკოლის გუნდი.

გოგონები
I ადგილი – ივერიის საჯარო სკოლის გუნდი;
II ადგილი – ნიჯგორის საჯარო სკოლის გუნდი;
III ადგილი – რუსთავის საჯარო სკოლის გუნდი.

მძლეოსნობაში გამარჯვებულები და საპრიზო ადგილზე გასულები:

(100 მეტრზე რბენაში):

ვაჟები
I ადგილი – ირაკლი წიკლაური (რუსთავის სკოლა);
II ადგილი – ლუკა მელიქიძე (ტოლოშის სკოლა);
III ადგილი – საბა გოგიშვილი (ოშორის სკოლა).

(400 მეტრზე რბენაში) :
I ადგილი – ვახტანგ მელიქიძე (ტოლოშის სკოლა);
II ადგილი – ბექა ბერიძე (რუსთავის სკოლა);
III ადგილი – ამირან კალანდაძე (ასპინძის სკოლა).

(800 მეტრზე რბენაში)
I ადგილი – გიორგი ნადირაძე (ტოლოშის სკოლა);
II ადგილი – საბა სანდროშვილი (რუსთავის სკოლა);
III ადგილი – ნიკა მაისურაძე (ნაქალაქევის სკოლა).

გოგონები
(100 მეტრზე რბენაში)
I ადგილი – თათია მაღრაძე (ნაქალაქევის სკოლა);
II ადგილი – გვანცა ცერცვაძე (ოშორის სკოლა);
III ადგილი – ანანო ბერიძე (ასპინძის ს სკოლა).

(400 მეტრზე რბენაში)
I ადგილი – სოფო ზაზაძე (ნაქალაქევის სკოლა);
II ადგილი – მარიამ მექოშვილი (ასპინძის სკოლა);
III ადგილი – თამუნა კალაიჯიშვილი (ხიზაბავრის სკოლა).

(800 მეტრზე რბენაში)
I ადგილი – ლიზი ბერიძე (ასპინძის სკოლა);
II ადგილი – მეგი ციხელაშვილი (ნიჯგორის სკოლა);
III ადგილი – ქრისტინე პაქსაძე (რუსთავის სკოლა).

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

მედლები ასე გადანაწილდა

მიმდინარე წლის 7 და 9 მაისს გაიმართა სასკოლო ლიგის შესარჩევი თამაშები მინი ფეხბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 2020-2011 წლებში დაბადებული მოსწავლეები, მათ შორის, როგორც გოგონები, ასევე ვაჟები.

მინი ფეხბურთში მონაწილეობას ღებულობდა 13 საჯარო სკოლა, 3X3 კალათბურთის პირველობაზე მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში – 8 საჯარო სკოლა.

აღნიშნულ შესარჩევ თამაშებზე გამოვლინდა გამარჯვებულები და საპრიზო ადგილზე გასულები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მინი ფეხბურთში პირველი ადგილის მფლობელი გახდა ასპინძის საჯარო სკოლა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს ორგორისა და იდუმალის საჯარო სკოლებმა.

კალათბურთის ჩემპიონატში ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ტოლოშის, მეორე ადგილი – ასპინძის, ხოლო მესამე – რუსთავის საჯარო სკოლებმა.

გოგონებს შორის პირველი ადგილის მფლობელი ნაქალაქევის საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო მეორე და მესამე ადგილის მფლობელები – თმოგვისა და რუსთავის საჯარო სკოლის გუნდები გახდნენ.

მაგიდის ჩოგბურთში ვაჟებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა დამალის საჯარო სკოლამ, მეორე და მესამე ადგილები გაინაწილეს ნიჯგორისა და ნაქალაქევის საჯარო სკოლის გუნდებმა.

გოგონებს შორის პირველი ადგილი აწყვიტის საჯარო სკოლის გუნდს ხვდა, მეორე და მესამე – ნიჯგორისა და ხიზაბავრის საჯარო სკოლის გუნდებს.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

სპორტზე წერილები მოამზადა
პაატა ქავთარაძემ

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია